ხელშეკრულება სადაზღვევო მომსახურების შესახებ № 09080/13

თარიღი: 20.07.2013

ქ. თბილისი

მხარეები:
სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“ (მისამართი: კოსტავას 67, თბილისი, საქართველო; საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674), გენერალური დირექტორის პაატა ლომაძისა და ფინანსური დირექტორის ლევან ზუროშვილის სახით, (შემდგომში „მზღვეველი“), ერთის მხრივ, და სსიპ "ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი" (მისამართი: ქ თბილისი საბურთალოს რაიონში/4_ალექსიძის ქ.1 კ 3, საიდენტიფიკაციო კოდი: 211368474), მისი დირექტორი ზუბა კუდავა-ს სახით, (შემდგომში "დამზღვევი"), მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. განსაზღვრებანი: განსაზღვრება ინარჩუნებს აღნიშნულ მნიშვნელობას ამ დოკუმენტის ნებისმიერ ნაწილში.
ქვემოთ მოცემული ყოველი განსაზღვრება ინარჩუნებს აღნიშნულ მნიშვნელობას ამ დოკუმენტის ნებისმიერ ნაწილში.

1.1. "მზღვეველი" – სს "სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი";

1.2. "მოსარგებლე" – სადაზღვევო პოლისში მითითებული პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე;

1.3. სადაზღვევო პოლისი - დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც დაზღვეულს, მისი მიღების შემდგომ, აძლევს უფლებას სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

1.4. სადაზღვევო შემთხვევა – წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს;

1.5. სადაზღვევო პერიოდი – პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა არის ძალაში;

1.6. სადაზღვევო თანხა – სადაზღვევო პოლისში მითითებული ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც "მზღვეველი" კისრულობს ვალდებულებას აანაზღაუროს ზარალი;

1.7. სადაზღვევო პრემია – "დამზღვევის" მიერ გადასახდელი სადაზღვევო პოლისის ღირებულება;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „მზღვეველის“ თანხმობა "დამზღვევის" მიერ სადაზღვევო პრემიის სრულად ან პრემიის პირველი შენატანის გადახდისა და სადაზღვევო პოლისში შეთანხმებული გადახდის გრაფიკის დაცვის სანაცვლოდ, გაუწიოს „დამზღვევს“, მის მიერ მიღებული სადაზღვევო წესების „დაზღვევის პირობების“, წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ქონებრივი/პასუხისმგებლობის ინტერესის დასაცავად სადაზღვევო მომსახურება;

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული ნებისმიერი ცალკეული, სადაზღვევო მომსახურების პირობები მოცემული იქნება „მზღვეველის“ მიერ გაცემულ "სადაზღვევო პოლისში", რომელიც "დაზღვევის პირობებთან" და წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად არეგულირებს დაზღვევის ცალკეულ ობიექტებთან დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობას. ამასთანავე "სადაზღვევო პოლისი" წარმოადგენს განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც „დამზღვევს“ მისი მიღების შემდგომ აძლევს უფლებას სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურება;

2.3. დაზღვევის საგანი, დაზღვეული პირის ვინაობა, სადაზღვევო რისკი, დაზღვევის დასაწყისი და მისი ხანგრძლივობა, სადაზღვევო თანხის ოდენობა და სადაზღვევო პრემიის ოდენობა (მისი გადახდის პირობების ჩათვლით) განისაზღვრება უშუალოდ მხარეთა მიერ სადაზღვევო პოლისის და წინამდებარე ხელშეკრულების მეშვეობით;

2.4. სავტომობილო, ..., ..., ..., ... დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება გულისხმობს ნებაყოფლობითი დაზღვევის განხორციელებას. მითითებულ სახეობა(ებ)ში მხარეებს შორის განხორციელებული ყველა დაზღვევა რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით;

2.5. სადაზღვევო მომსახურების ღირებულება და დაზღვევის სხვა პირობები წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო მომსახურეობებისათვის არის შემდეგი:

დაზღვევის სახეობა	დაფარული რისკები	დაზღვევის ღირებულება (წლიური)	ფრანშიზა	დამატებითი პირობები
სავტომობილო დაზღვევა	ავტომობილის ძარის დაზღვევა - "ავტო კლასიკი - სრული დაფარვით"	5.6 % სადაზღვევო თანხიდან	0%	ტარიფი მოიცავს დამატებით დაფარვას.
....	ავტომფლობელთა ნებაყოფლობითი პასუხისმგებლობის დაზღვევა	65 აშშ დოლარი ლარი ერთი პოლისისათვის	0%	10.000 აშშ დოლარი ერთი პოლისისათვის
....	მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა	30 აშშ დოლარი ერთი პოლისისათვის	0%	10.000 აშშ დოლარი ს/უბლიმიტი ერთ პირზე 2 000 აშშ დოლარი
		....		
....	....	....		
....	....			

შენიშვნები:

2.6. "დაზღვევის პირობები" - 2.5 პუნქტში მითითებული სადაზღვევო მომსახურების სახეობ(ებ)ისათვის თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს: სავტომობილო დაზღვევის პირობები, ..., ..., ..., ...

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მისი ძალაში შესვლისა და შეწყვეტის პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **19.07.2014** ჩათვლით. მხარეებს ეკრძალებათ ხელშეკრულებით პირდაპირი გათვალისწინებული შემთხვევების გარდა მოშალონ ან შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება;

3.2. „დამზღვევის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების და/ან მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი "სადაზღვევო პოლისის" ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში "დამზღვევი" ვალდებულია წერილობით შეატყობინოს "მზღვეველს" ხელშეკრულების მოშლის ან სადაზღვევო პოლისის გაუქმების შესახებ 1 (ერთი) თვით ადრე, დაუბრუნოს "მზღვეველს" დაზღვევასთან

სს "სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი" "დამზღვევი"

დაკავშირებული დოკუმენტაცია სრულად და გადაიხადოს დაზღვევის შეწყვეტის მომენტისათვის გამომუშავებული სადაზღვევო პრემია თითოეული პოლისის მიხედვით "მოკლევადიანობის კოეფიციენტის" გათვალისწინებით, რაც შეადგენს წლიური სადაზღვევო პრემიის 1/6-ს თვეში. აღნიშნული პირობა მოქმედებს იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული "სადაზღვევო პოლის(ებ)ის" "დამზღვევის" მიერ ვადამდე შეწყვეტის შედეგად შემცირდება შეწყვეტის მომენტისთვის "სადაზღვევო პოლისებით" განსაზღვრული სადაზღვევო თანხის 10%-ზე მეტით, ან იმ შემთხვევაში თუ გაუქმდა წინამდებარე ხელშეკრულება;

3.3. "დამზღვევის" მიერ სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის გამო "მზღვეველის" მხრიდან ხელშეკრულების ან სადაზღვევო პოლისის ვადაზე ადრე შეწყვეტისას "დამზღვევი" ვალდებულია დაუბრუნოს "მზღვეველს" დაზღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია სრულად და გადაიხადოს დაზღვევის შეწყვეტის მომენტისათვის გამომუშავებული სადაზღვევო პრემია თითოეული პოლისის მიხედვით "მოკლევადიანობის კოეფიციენტის" გათვალისწინებით, რაც შეადგენს წლიური სადაზღვევო პრემიის 1/6 თვეში;

3.4. 3.2. და 3.3. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირობა, პრემიის ოდენობის გადაანგარიშების შესახებ, მოქმედებს "მზღვეველის" მხრიდან წერილობითი შეტყობინების შემთხვევაში;

3.5. "მზღვეველი" უფლებამოსილია:

3.5.1. თუ დაირღვა პრემიის გადახდის ვალდებულება (პრემია და/ან მისი ნაწილი დროულად ან დადგენილი ოდენობით არ იქნა გადახდილი), "მზღვეველი" დამატებითი წერილობითი შეტყობინების გარეშე, 2 (ორი) კვირიანი ვადის გასვლის შემდგომ თავისუფლდება დაზღვევით ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან. გადახდის გრაფიკის აღდგენის და პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ მხარეთა ურთიერთობა გაგრძელდება წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით, თუმცა ამავე დროს "მზღვეველი" არ იქნება პასუხისმგებელი მხარეთა ურთიერთობის აღდგენამდე მომხდარ სადაზღვევო შემთხვევების შედეგად წარმოშობილი ზარალის ანაზღაურებაზე;

3.5.2. "მზღვეველი" უფლებამოსილია მოშალოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში თუ ინფორმაცია, რომელიც მას დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას მიეწოდა შეიცავს არასწორ მონაცემებს და/ან ინფორმაციის შეუტყობინებლობის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგაც, იმ შემთხვევაში თუ გარემოებამ, რომლის შესახებაც დაირღვა ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულება, გავლენა მოახდინა სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე და "მზღვეველის" მოვალოების შესრულებაზე, მაშინ "მზღვეველი" თავისუფლდება ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან;

3.5.3. მოშალოს ხელშეკრულება 1 (ერთი) თვიანი ვადის დაცვით საფრთხის გაზრდის შესახებ ინფორმაციის შეტყობინების მიღების შემთხვევაში. ვადის დაცვა აუცილებელი არ არის თუ "დამზღვევმა" საფრთხე განზრახ გამოიწვია;

3.5.4. "მზღვეველი" უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ახალ შემძენთან ქონების გასხვისების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

3.6. მხარეებს უნდა ეცნობოთ ხელშეკრულების მოშლის შესახებ წერილობით;

3.7. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება იგივე პერიოდით, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარემ წერილობით არ განაცხადა მისი შეწყვეტის სურვილი, ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 1 (ერთი) თვით ადრე.

4. სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის წესი და პირობები

4.1. სადაზღვევო პრემიის ოდენობა და მისი გადახდის წესი განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლის(ებ)ისა და/ან წინამდებარე ხელშეკრულების მეშვეობით;
სადაზღვევო პრემიის გადახდა ხდება გრაფიკის მიხედვით: ექვს თვეში ერთხელ

4.2. სადაზღვევო პრემიის გადახდა უნდა მოხდეს ლარით, გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით;

4.3. "დამზღვევი" ვალდებულია ანგარიშსწორება მოახდინოს სადაზღვევო პოლისებით განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით, ყოველგვარი დამატებითი შეტყობინებისა და ინვოისის წარდგენის გარეშე, ამასთანავე "მზღვეველის" მიერ ინვოისის წარუდგენლობა არ ათავისუფლებს "დამზღვევს" თანხის გადახდის მოვალეობისაგან;

4.4. პრემიის ოდენობა ლარში უნდა განისაზღვროს შემდეგი წესით: ლარის გადახდილი ოდენობა უნდა იყოს იმდენი, რამდენიც აუცილებელი იქნება დოლარში გამოხატული პრემიის თანხის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით (შესაბამისი გადახდის დღისთვის) შესაძენად;

4.5. თუ თანხის გადახდის დღე დაემთხვა არასამუშაო ან საქართველოში გამოცხადებულ უქმე დღეს, შესაბამისი დღის ნაცვლად გამოიყენება მომდევნო სამუშაო დღე;

4.6. პრემიის გადახდა მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით "დამზღვევის" არჩევანის შესაბამისად. ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში პრემიის (ნაწილის) გადახდა დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში თანხა გადახდილად იქნება მიჩნეული მისი "მზღვეველის" ანგარიშზე ფაქტობრივად ჩარიცხვის შემდეგ;

4.7. სადაზღვევო პრემიის სრულად ან პირველი შენატანის გადახდამდე ან გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში "მზღვეველი" თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, რაც ამავე დროს არ ათავისუფლებს "დამზღვევს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგაგან;

5. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

5.1. "მზღვეველი" ვალდებულია:

5.1.1. უზრუნველყოს "დამზღვევისათვის" ყველა იმ დოკუმენტის გადაცემა (განაცხად(ებ)ი, დაზღვევის პირობები და სადაზღვევო პოლის(ებ)ი), რომლებიც საჭიროა დაზღვევის გაფორმებისათვის;

5.1.2. "დამზღვევის" მიერ ხელშეკრულებაში მითითებული გრაფიკის შესაბამისად გადახდილი სადაზღვევო პრემიის საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შემდეგ აუნაზღაუროს დამზღვევს (ან "მოსარგებლეს") ზარალი წინამდებარე ხელშეკრულების დანართ(ებ)ში მოცემული დაზღვევის პირობების შესაბამისად;

5.1.3. არ გაახმაუროს "დამზღვევთან" საქმიანი ურთიერთობების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

5.1.4. უზრუნველყოს და პერმანენტულად გააკონტროლოს სადაზღვევო მომსახურების ხარისხი;

5.2. "მზღვეველი" უფლებამოსილია:

5.2.1. "დამზღვევის" მხრიდან ხელშეკრულების პირობებისა და პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში შეწყვიტოს სადაზღვევო ხელშეკრულება;

5.2.2. არ გასცეს ან სრულად არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება "დამზღვევის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში;

[illegible] "დამზღვევის" მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში წერილობით მოითხოვოს "დამზღვევისაგან" პირგასამტეხლოს გადახდა დავალიანებული პრემიის 0.20%-ს ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის; პირგასამტეხლოს დარიცხვა/ათვლა დაიწყება წერილობით შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. ამასთანავე პირგასამტეხლო გადაიხდება დამატებით, სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების მიუხედავად, რომლის გადახდაც არ ათავისუფლებს "დამზღვევს" ნაკისრი ძირითადი ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან;

5.2.4. არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეულის მიერ სადაზღვევო შემთხვევის გაყალბების აღმოჩენის შემთხვევაში. ასეთი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში "მზღვეველი" უფლებამოსილია დააჯარიმოს დაზღვეული 5'000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

5.2.5. მოითხოვოს სადაზღვევო პრემიის გაზრდა 5.3.3. პუნქტის მიხედვით რისკის ცვლილების შესაბამისად;

5.2.6. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოსთხოვოს "დამზღვევს" ყოველგვარი ცნობა, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის დასადგენად და/ან მოვალეობის მოცულობის განსასაზღვრად;

5.2.7. უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე თუ "დამზღვევის" მიერ დარღვეული იქნა 5.3.6. პუნქტის თანახმად შეტყობინების ვალდებულება;

5.2.8. უარი თქვას ანაზღაურების მოვალეობის შესრულებაზე თუკი "დამზღვევი" დაარღვევს ქონების გასხვისების შეტყობინების ვალდებულებას;

5.2.9. მოითხოვოს "დამზღვევისათვის" წინამდებარე ხელშეკრულებით და "დაზღვევის პირობებით" დაკისრებული ვალდებულებების სრულად შესრულება;

5.3. "დამზღვევი" ვალდებულია:

5.3.1. გადაიხადოს სადაზღვევო პრემია ხელშეკრულებაში და/ან სადაზღვევო პოლისში მოცემული პირობებისა და ვადების დაცვით;

5.3.2. სადაზღვევო პოლისის მიღებამდე გააცნოს "მზღვეველს" ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომელსაც მნიშვნელობა ექნება სადაზღვევო რისკების შეფასებისათვის;

5.3.3. სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში დაუყოვნებლივ შეატყობინოს "მზღვეველს" ყველა იმ ცვლილების შესახებ, რომელიც ზრდის დაზღვეული რისკის ზომას ან ხარისხს და რომელიც აღმოცენდა დაზღვევის ძალაში შესვლის შემდგომ;

5.3.4. "დამზღვევი" ვალდებულია დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას შეძლებისდაგვარად თავიდან აიცილოს და/ან შეამციროს ზიანი და ამასთან დაკავშირებით შეასრულოს "მზღვეველის" მითითებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

5.3.5. დაუყოვნებლივ შეატყობინოს "მზღვეველს" დაზღვეული ქონების გასხვისების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ გასხვისების მიუხედავად დაზღვევა დარჩა ძალაში, მაშინ "დამზღვევის" უფლებები და მოვალეობები გადადის შემძენზე;

5.3.6. დაუყოვნებლივ, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გაგებისთანავე შეატყობინოს ამის შესახებ "მზღვეველს";

5.3.7. ხელი შეუწყოს "მზღვეველის" მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოკვლევა-მოძიებას;

5.3.8. გადასცეს "მზღვეველს" ყველა აუცილებელი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს "დამზღვევის" მიერ "მზღვეველისათვის" მესამე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის გადაცემის ფაქტს;

5.3.9. "დამზღვევი" ვალდებულია შეატყობინოს მესამე პირს თავისი განზრახვა დააზღვიოს მისი ქონება ან მასთან დაკავშირებული ინტერესი, დაზღვევის ობიექტის ზუსტი მითითებით და ასევე შეატყობინოს "დაზღვეულს" დაზღვევით გათვალისწინებული ვალდებულებების შესახებ. ქონების დაზღვევისას "დაზღვეულს", რომელიც არ არის "დამზღვევი", უნდა ჰქონდეს ამ ქონების შენარჩუნების ინტერესი;

5.3.10. სადაზღვევო მომსახურების კოორდინაციისა და ხარისხის მუდმივი კონტროლის მიზნით გამოყოს "მზღვეველთან" საკონტაქტო პირი;

5.3.11. დაზღვეულის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება არ ათავისუფლებს "დამზღვევს" წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;

5.4. "დამზღვევი" უფლებამოსილია:

5.4.1. მოითხოვოს "მზღვეველისაგან" წინამდებარე ხელშეკრულებით და "დაზღვევის პირობებით" დაკისრებული ვალდებულებების სრულად შესრულება;

5.4.2. "მზღვეველის" მიერ "დაზღვევის პირობებით" ნაკისრი სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში წერილობით მოითხოვოს "მზღვეველისგან" პირგასამტეხლოს გადახდა გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურების 0.20%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც არ ათავისუფლებს "მზღვეველს" ნაკისრი ძირითადი ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან; ამასთანავე პირგასამტეხლოს დარიცხვა/ათვლა დაიწყება შესაბამის წერილობით შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან;

5.4.3. სადაზღვევო პოლისის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, მოსთხოვოს "მზღვეველს" დაკარგული პოლისის შესაბამისი წესით უვარგისობის გამოცხადება და პოლისის განახლება. აღნიშნულ პროცედურასთან დაკავშირებულ ხარჯებს იღებს "დამზღვევი".

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

6.2. წინამდებარე ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით;

6.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

7. სადაო საკითხების განხილვა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებისათვის, მხარეთა მიერ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია "მზღვეველის" იურიდიული მისამართი;

7.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, საქმე განსახილველად გადაეცემა სასამართლოს და დავები გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. მხარეთა ურთიერთობა

ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობთი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით;

8.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, თუ ამ თარიღიდან რომელი უფრო გვიან დგება.

9. დამატებითი პირობები

9.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.2. "დამზღვევი" წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს რომ წინამდებარე ხელშეკრულება და "დაზღვევის პირობები" არ შეიცავენ ბუნდოვან ან უჩვეულო დებულებებს და რომ იგი სრულად გაეცნო და მიიღო აღნიშნული პირობები. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, აგრეთვე ადასტურებენ რომ აღნიშნული პირობებით გათვალისწინებულ დებულებებს გააჩნიათ მხარეთათვის სავალდებულო ძალა;

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისები და დაზღვევის პირობები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

9.4. "დამზღვევი" აცხადებს და ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, აგრეთვე ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულება და "დაზღვევის პირობები" გამოხატავენ მის ნებას. მას მოპოვებული აქვს ხელშეკრულების დადებისათვის კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა საჭირო თანხმობა და ნებართვა;

9.5. "დაზღვევის პირობებსა" და წინამდებარე ხელშეკრულებას შორის ნებისმიერი შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში მხარეები უპირატესობას ანიჭებენ წინამდებარე ხელშეკრულებას;

9.6. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

9.7. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. ყველაფერ დანარჩენში, რაც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები ძალაში რჩება;

9.8. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ ნებისმიერი სხვა სიტყვიერი ან წერილობითი შეთანხმება ხელშეკრულებით მოწესრიგებულ საკითხებთან დაკავშირებით ბათილია;

9.9. "მზღვეველი" არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით;

9.10. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლიარად, თითო ყოველი მხარისთვის.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები:

"მზღვეველი"	"დამზღვევი"
სს "სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი" საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674 მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას № 67, თბილისი, საქართველო პაატა ლომაძე გენერალური დირექტორი ლევან ზუროშვილი ფინანსური დირექტორი	სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი საიდენტიფიკაციო კოდი: 211368474 მისამართი: ქ თბილისი სქაბურთალოს რაიონში/4-ალექსიძის ქ 1 კ 3 0193 ბუბა კუდავა დირექტორი

ჯიპიაი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

ავტომობილის დაზღვევის პოლისი / MOTOR INSURANCE POLICY № MI 68183/13

ეს პოლისი და თანდართული ავტომობილის დაზღვევის პირობები წარმოადგენს ერთიან სადაზღვევო ხელშეკრულებას
THIS POLICY ALONG WITH MOTOR INSURANCE POLICY WORDING AND APPLICATION REPRESENT THE INSURANCE CONTRACT

მზღვეველი - სს "სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი", მისამართი: კოსტავას 67, 0171, თბილისი, საქართველო; ტელ: (995 32) 2 505 111, WWW.GPIH.GE
INSURER - JSC "INSURANCE COMPANY GPI HOLDING", ADDRESS: 67 KOSTAVA ST, 0171, TBILISI, GEORGIA; TEL.: (995 32) 2 505 111, WWW.GPIH.GE

დაზღვევის პირობები V 01.06.2013

სადაზღვევო პერიოდი (საწყისი/საბოლოო) 20.07.2013 - 19.07.2014

ინფორმაცია დამზღვევის შესახებ / INFORMATION ABOUT INSURED

დამზღვევი INSURED	სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
მისამართი ADDRESS	ქ. თბილისი, ალექსიძის 1 კ.3
მობილური №:	577650021;577650021
ელ-ფოსტა	

ინფორმაცია მოსარგებლის შესახებ / INFORMATION ABOUT BENEFICIARY

მოსარგებლე BENEFICIARY	სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
მისამართი ADDRESS	ქ. თბილისი, ალექსიძის 1 კ.3
მობილური №	577650021;577650021
ელ-ფოსტა	

ინფორმაცია ავტომობილის შესახებ / INFORMATION ABOUT VEHICLE

მარკა და მოდელი	Honda Jazz	გამოშვების წელი	2005	საიდენტიფიკაციო №	JHMGD57305S225525
ტიპი	Hatchback	სარეგისტრაციო №	IUI 729	გამოყენება	სამსახურეობრივი

ავტომობილის დაზღვევის პაკეტები / MOTOR INSURANCE PACKAGE

ავტომობილის ძარის დაზღვევა: ავტოკლასიკი სრული დაფარვით

სადაზღვევო თანხა: 4 000.00 USD

ფრანშიზა:	From Sum Insured/სადაზღვევო თანხიდან USD	მინიმალური ფრანშიზა:	- USD
ნაწილობრივი ზიანი / უფლ. მძღოლის გრალით	0 USD	ნაწილობრივი ზიანი / არა უფლ. მძღოლის გრალით	0 USD
სრული ზიანი / უფლ. მძღოლის გრალით	0 USD	სრული ზიანი / არა უფლ. მძღოლის გრალით	0 USD

☑ დამატებითი დაფარვა — ანაზღაურების ლიმიტი LIMIT OF IDEMNIFICATION: - USD

☑ მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა — ანაზღაურების ლიმიტი: 10 000.00 USD

ფრანშიზა ჯანმრთ / სიცოცხ დაზიანებაზე	0 USD	ფრანშიზა ქონებრივ ზიანზე	0 USD

☑ მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევა — ანაზღაურების ლიმიტი: 10 000.00 USD

ფრანშიზა უბედ. შემთხ. დაზღვევაზე	0	ანაზღაურ. ლიმიტი ერთ პირზე	2000 USD

უფლებამოსილი მძღოლები / AUTHORIZED DRIVERS

	სახელი და გვარი NAMES & SURNAMES	დაბადების წელი YEAR OF BIRTH	მართ. მოწ. გაცემის წელი YEAR OF ISSUE DRV. LIC.	მართ. მოწ. № DRV. LIC. №
1	იხ. დანართი	-	-	-
2	-	-	-	-
3	-	-	-	-

დამატებითი بنეფიტები / ADDITIONAL BENEFITS

სადაზღვევო პრემია: 319.00 USD

პრემიის გადახდის გრაფიკი (USD)
PREMIUM PAYMENT SCHEDULE (USD)

გადახდის თარიღი	20.07.2013	20.01.2014										
გადასახდელი პრემია	159.50	159.50										

დამატებითი პირობები, ინფორმაცია, კომენტარი
ADDITIONAL CONDITIONS, INFORMATION, COMMENT

- - -

მზღვეველი

დამზღვევი

თარიღი 19.07.2013

თარიღი

სს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის' ავტომობილის დაზღვევის [illegible] ინფორმაციას [illegible] ბეჭდავს გაეცანი და მთლიანად ვეთანხმები. მე, ჩემი ხელმოწერით, [illegible], რომ ეს მოყვანილი მონაცემები არის სრული და ზუსტი. თანახმა ვარ, რომ თუ ეს მონაცემები აღმოჩნდა მცდარი სს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი' არ იქნება ვალდებული ანაზღაუროს შესაბამისი ზარალის ოდენობა. ასევე თანახმა ვარ მივიღო [illegible] ინფორმაცია მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით.

I UNDERSTAND AND AGREE WITH THE CONDITIONS OF THE RESPECTIVE MOTOR INSURANCE POLICY WORDING. HEREBY I CERTIFY THAT INFORMATION PROVIDED ABOVE IS TRUE AND EXACT. SHOULD IT BE FROM MY SIDE DISTORTED OR MISREPRESENTED, I AM AWARE THAT NO BENEFIT WILL BE PAID UNDER THIS POLICY BY JSC INSURANCE COMPANY GPI HOLDING. I ALSO AGREE TO RECEIVE ANY INFORMATION THROUGH SMS.

Tel. +(995 32) 2 505 111, Mob. *5111 | თბილისი, კოსტავას ქ. #67 | 67, Kostava str., Tbilisi
Fax. +(995 32) 2 365 222 | www.gpih.ge | www.gpih.ge

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

კოსტავას ქ. #67
ტელ: (995 32) 2505 111
ფაქსი: (995 32) 2252 885
საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674
საბანკო რეკვიზიტები:
სს "თიბისი ბანკი"
კოდი TBCBGE22 ა/ა GE13TB1100000005700652 - GEL
ა/ა GE55TB1100000081070351 - USD

სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"
JSC "Insurance Company GPI Holding"

თარიღი: 23.07.2013

ინვოისი№ I 150055/13

დანიშნულება	დანიშნულებაში მიუთითეთ ინვოისის ნომერი
დაზღვევის სახეობა	ავტომობილის დაზღვევა
პოლისის ნომერი	MI 68183/13
ხელშეკრულების ნომერი	09080/13
დამზღვევი	სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ს/კ:211368474 მის:ალექსიძის 1 კ.3

გადასახდელი თანხა

თარიღი	20.07.2013	20.01.2014										
თანხა	159,50	159,50										

ჯამური სადაზღვევო პრემია 319,00 USD დავალიანება 23.07.2013-თვი 159,50 USD

გადახდის ვადა: პირველი გადახდა ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 3 საბანკო დღე. ანგარიშსწორება წარმოებს ლარებში, გადახდის დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"

თბილისი - სათაო ოფისი 0179,
კოსტავას ქ. #67
ტელ: (995 32) 2505 111
ფაქსი: (995 32) 2252 885

ბათუმის ფილიალი
ვაჟა-ფშაველას ქ. #36
ტელ: (995 88222) 7 68

ფოთის ფილიალი
ალმაშენებლის ქ. #22
ტელ: (995 293) 2 78 14
ფაქსი: (995 32) 93 62 79

ჯი პი აი
ვენის საადაზღვევო ჯგუფი

თარიღი 20.07.2013.

დანართი პოლისისათვის:

დამატებული უფლებამოსილი მძღოლი:

უფლებამოსილი მძღოლების სია:

№	სახელი გვარი	დაბ.თარიღი	მართვის მოწმობის გაცემის თარიღი	მართვის მოწმობის ნომერი
1	ზაზა ჩიტიაშვილი	1968	2006	AC 0153330
2	გრიგოლ გაგნიძე	1974	2008	AH 1433662
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				

წინამდებარე დანართი წარმოადგენს პოლისის

განუყოფელ ნაწილს.

პოლისებისათვის გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი

სს ჯი პი აი ჰოლდინგი

ჯიპიაი
ვენისსადაზღვევოჯგუფი
Insurance Company GPI Holding
18

ჯიპიაი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

საავტომობილო დაზღვევის პირობები

სს "სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი"-ს საავტომობილო დაზღვევის პირობებს გავეცანი და მთლიანად ვეთანხმები _____ ("დამზღვევი")

დაზღვევის განაცხადი, პოლისი და დაზღვევის პირობები ერთიანი დოკუმენტია და ერთობლივად წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებას.

1. განმარტებები

1.1. **თქვენ** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც გააფორმა სადაზღვევო ხელშეკრულება "მზღვეველთან" ("დამზღვევი");

1.2. **ჩვენ** - სს "სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი" ("მზღვეველი");

1.3. **მოსარგებლე** - პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე;

1.4. **პოლისი** - დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია თქვენ მიერ შეძენილი სადაზღვევო დაფარვის დეტალები;

1.5. **დაზღვეული ავტომობილი** – სადაზღვევო პოლისში მითითებული თქვენს კანონიერ მფლობელობაში არსებული ავტომობილი;

1.6. **სადაზღვევო პერიოდი** - დაზღვევის მოქმედების ვადა, რომელიც მითითებულია პოლისში (ორივე თარიღის ჩათვლით);

1.7. **სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ლიმიტი** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ლიმიტი. მითითებულია პოლისში, თითოეული სექციისათვის ცალ-ცალკე;

1.8. **საბაზრო ღირებულება** - თქვენი ავტომობილის საბაზრო ღირებულება, ანუ თანხა, რომლითაც საქართველოს ბაზარზე თქვენი ავტომობილის იდენტური მონაცემების მქონე სხვა ავტომობილს შეიძენთ;

1.9. **ფრანშიზა** - ზარალის თანხის ნაწილი, რომელსაც არ აანაზღაურებს სადაზღვევო კომპანია;

1.10. **ტერიტორიული საზღვრები** - საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი (თუკი პოლისში არ არის მითითებული სხვა ქვეყნები);

1.11. **აქსესუარი** - ავტომობილის ნაწილი/დეტალი, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება ავტომობილის გამართულ მუშაობას, მათ შორის – აუდიო და ტელე-ვიდეოაპარატურა, გართობის სხვა საშუალებები, ტელეფონები, რაციები და კომუნიკაციის სხვა სისტემები;

1.12. **ცალკეული დეტალები** - კანტები, მოლდინგები და პლასტმასის სხვა დეტალები, საბურავები, დისკები და მისი საფარები, შუშის საწმენდები, ემბლემები, ანტენები, ყველა სახის დეკორატიული დეტალები;

1.13. **სადაზღვევო შემთხვევა** - სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული (დაფარული) შემთხვევა, რომელიც ექვემდებარება ზარალის ანაზღაურებას;

1.14. **სრული ზარალი/განადგურება** - ავტომობილის დაზიანება 70%-ზე მეტად (აღდგენის ღირებულება აჭარბებს საბაზრო ღირებულების 70%-ს) ან ავტომობილის ქურდობით გამოწვეული ზარალი;

1.15. **სადაზღვევო პრემია** - თქვენ მიერ შეძენილი სადაზღვევო პაკეტის ღირებულება;

1.16. **უფლებამოსილი მძღოლი** - მძღოლი, რომლის ასაკი აღემატება 21 წელს და რომელსაც აქვს შესაბამისი კატეგორიის მოქმედი მართვის მოწმობა. უფლებამოსილი მძღოლების სია მითითებულია პოლისში;

1.17. **ცალკეული დაზიანება** - ავტომობილის დეტალის/ნაწილის შემთხვევითი დაზიანება, რომელიც არ არის გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევით;

1.18. **მესამე მხარე** - ნებისმიერი პირი (ფიზიკური ან იურიდიული), რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას ზიანი მიადგა დაზღვეული ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად, უშუალოდ დაზღვეული ავტომობილის მძღოლის და მგზავრების, "დამზღვევის", "დამზღვევის" ოჯახის წევრების გარდა.

2. ავტომობილის ძარის დაზღვევა

2.1. **"პოლისი ავტოკლასიკი ნაწილობრივი დაფარვით"** - ანაზღაურდება მხოლოდ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ავტომობილის დაზიანება;

2.2. **"პოლისი ავტოკლასიკი სრული დაფარვით"** - ანაზღაურდება ავტომობილის სრული განადგურება/ზარალი ან ნაწილობრივი ზარალი ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში:

2.2.1. ავტოსაგზაო შემთხვევა;

2.2.2. ქურდობა, გატაცება, ყაჩაღობა და მათი მცდელობა;

2.2.3. ხანძარი, აფეთქება;

2.2.4. მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი, საგნების ვარდნა;

2.2.5. სტიქიური მოვლენები - წყალდიდობა, დიდთოვლობა, ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით, მეწყერი, ღვარცოფი;

2.2.6. მინების, სარკეების, დეტალებისა და აქსესუარების ცალკეული დაზიანება ან/და ქურდობა (ფრანშიზის გათვალისწინებით);

2.3. **"დამატებითი დაფარვა"**. "პოლისი ავტოკლასიკი - სრული დაფარვით"-თან ერთად "დამატებითი დაფარვის" შეძენის შემთხვევაში აგრეთვე დაზღვეულია:

2.3.1. მინების/სარკეების ცალკეული დაზიანება/ქურდობა (ნულოვანი ფრანშიზით);

2.3.2. დეტალების/აქსესუარების ცალკეული დაზიანება/ქურდობა (ნულოვანი ფრანშიზით);

2.3.3. მიწისძვრით ან სეტყვით მიყენებული დაზიანება (ფრანშიზის გათვალისწინებით);

2.4. ანაზღაურება "დამატებით დაფარვაზე" გაიცემა სადაზღვევო პერიოდში მხოლოდ ერთხელ. ერთი ანაზღაურების ლიმიტი შეადგენს 1'500 (ათასხუთასი) აშშ დოლარს, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული პოლისში. მიწისძვრისა და სეტყვის დაფარვაზე ანაზღაურება გაიცემა სადაზღვევო თანხის ფარგლებში ქველიმიტის გარეშე (ფრანშიზის გათვალისწინებით). სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია "დამატებითი დაფარვის" ერთხელ აღდგენა დამატებითი პრემიის გადახდის საფუძველზე.

2.5. თუ ზემოთ მითითებული მიზეზების გამო დაზარალდით:

2.5.1. აგინაზღაურებთ ავტომობილის შეკეთების ხარჯებს ან

2.5.2. გადმოგცემთ იდენტური მახასიათებლების ავტომობილს ან

2.5.3. გადაგიხდით ზარალის ადეკვატურ თანხას.

2.6. ჩვენ აგრეთვე ავანაზღაურებთ:

2.6.1. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ხარჯებს;

2.6.2. ხარჯებს, რომელიც გამოწვეულია სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის ავტოსადგომზე დაყოვნებით;

2.6.3. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ავტომობილის ევაკუირების ხარჯებს;

2.7. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, აგინაზღაურებთ რეალური ზარალის ადეკვატურ თანხას. ამ თანხას გამოაკლდება ფრანშიზა და უკვე ანაზღაურებული თანხები (თუ მსგავსი შემთხვევა იყო და შემდგომში სადაზღვევო თანხა აღდგენილ არ იქნა);

2.8. ჩვენ მიერ ანაზღაურებული თანხა არ გადააჭარბებს ზარალის მომენტისთვის დაზღვეული ავტომობილის საბაზრო ღირებულებას;

2.9. დაზიანებული ან/და მოპარული აქსესუარებისათვის თანხა ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევამდე ამ აქსესუარების საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს მისი სადაზღვევო თანხისა;

2.10. ზარალის ანაზღაურების მიზნით, ჩვენ უფლება გვაქვს ავტომობილის შეკეთების ხარჯები / ზარალის ადეკვატური თანხა გადავრიცხოთ პირდაპირ იმ სარემონტო/შემკეთებელი ცენტრის ანგარიშზე, საიდანაც წარმოდგენილი იქნება დამდგარი ზარალის კალკულაცია (პოლისში აღნიშნული ფრანშიზის გამოკლებით);

2.11. ჩვენ უფლება გვაქვს სრული ზარალის შემთხვევაში, ზარალის ანაზღაურების მიზნით, ჩავანაცვლოთ დაზღვეული ავტომობილი იდენტური სპეციფიკაციის ავტომობილით (ავტომობილის ქურდობა/გატაცებისას უფლება გვაქვს ავანაზღაუროთ ზარალი მოცდის პერიოდის, ორი თვის გასვლის შემდეგ, თუ ვერ მოხერხდება მოპარული/გატაცებული ავტომობილის დაბრუნება);

2.12. სარემონტო ხარჯების კალკულაცია. ჩვენ მიერ ასანაზღაურებელი სარემონტო/აღდგენის/შეცვლის ხარჯები დგინდება ზარალის მომენტისათვის არსებული საშუალო საბაზრო ფასებიდან გამომდინარე, თქვენთან შეთანხმებით;

2.13. თუ ავტომობილის ასაკი არ აღემატება 3 (სამი) კალენდარულ წელს, ასანაზღაურებელი სარემონტო/აღდგენის/შეცვლის ხარჯის განსაზღვრისას დავეყრდნობით ლიცენზირებული სარემონტო ცენტრის კალკულაციას. 3 წელს ზემოთ ასაკის ავტომობილი შეფასდება არსებული საბაზრო ფასებიდან გამომდინარე და მასში გათვალისწინებული არ იქნება ლიცენზირებული სარემონტო ცენტრის კალკულაცია და ფასები;

2.14. თუ ავტომობილის ასაკი აღემატება 3 (სამი) წელს და სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ნაწილები არ ექვემდებარება აღდგენას – ჩვენ ავანაზღაურებთ აღნიშნული ნაწილების მეორადი ნაწილებით ჩანაცვლების ღირებულებას;

2.15. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დაზიანებული ავტომობილის აღდგენა, ჩვენ უფლება გვაქვს, სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოვქვითოთ მისი ნარჩენი ღირებულება (სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის საბაზრო ფასი) და აღნიშნული ავტომობილი რჩება თქვენს საკუთრებაში;

2.16. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ იღებთ კომპენსაციას დამნაშავე პირისგან და ეს კომპენსაცია აღემატება ფრანშიზის ოდენობას, სადაზღვევო ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი თანხა შემცირდება ამ კომპენსაციასა და ფრანშიზას შორის სხვაობის ოდენობით;

2.17. **პროპორციული ანაზღაურების მეთოდი**. თუ სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის დაზღვეული ავტომობილის საბაზრო ღირებულება სადაზღვევო თანხას აღემატება, ზარალის ანაზღაურებისას გამოიყენება ე.წ. პროპორციულობის მეთოდი: ანაზღაურდება საერთო ზარალის ის წილი, რომელიც შეესაბამება დაზღვეული ავტომობილის პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის თანაფარდობას მის რეალურ საბაზრო ღირებულებასთან;

2.18. **გამონაკლისები ავტომობილის ძარის დაზღვევისათვის**

2.18.1. არ იფარება ქურდობა/ძარცვით დამდგარი ზარალი, თუ ამ დროს დაზღვეულ ავტომობილში ან ავტომობილზე დატოვებულია გასაღები და/ან ავტომობილის ტექნიკური პასპორტი, და/ან ღიაა კარი;

2.18.2. გაუფასურება, ამორტიზაცია, ცვეთა, მექანიკური და ელექტროსისტემების/ნაწილების მწყობრიდან გამოსვლა ისეთი მიზეზით/ რისკებით, რაც არ არის დაფარული წინამდებარე ხელშეკრულებით;

2.18.3. საბურავების დაზიანება, თუ ეს არ არის გამოწვეული 2.2.1-2.2.5 პუნქტებში მოცემული შემთხვევებით;

2.18.4. რეაქტიული თვითმფრინავის ან სხვა საფრენი აპარატის მიერ წარმოქმნილი ტალღით გამოწვეული დაზიანება;

2.18.5. ავტომობილის შეკეთების შედეგად წარმოქმნილი გაუფასურება;

2.18.6. კონფისკაცია, დაპატიმრება, დაკავება ან სახელმწიფო ორგანოების დავალების შედეგად გამოწვეული დაზიანება/ზარალი;

2.18.7. არ ანაზღაურდება კომპიუტერისა და პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანებით გამოწვეული ხარჯები, თუ ეს არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით;

2.18.8. ნებისმიერი ისეთი სარემონტო თუ სხვა სახის ხარჯი, რომელიც გააუმჯობესებს დაზღვეული ავტომობილის მდგომარეობას სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულთან შედარებით;

2.18.9. ნებისმიერი სარემონტო ხარჯი, რომლებიც გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზით;

2.18.10. ინტერიერის, სავარძლების, შალითების და ხალიჩების ცალკეული დაზიანება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დაზიანება გამოწვეულია 2.2.1–2.2.5 პუნქტებში შემთხვევით;

2.18.11. უხარისხო გზით გამოწვეული სავალი ნაწილის, ტრანსმისიის, ძრავის ან საბურავების ცალკეული დაზიანება.

3. ავტომფლობელის მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა

3.1. პოლისში მითითებული პასუხისმგებლობის ლიმიტის ფარგლებში აგინაზღაურებთ თანხას, რომლის გადახდაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით (გარდა თქვენ წინააღმდეგ სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ან თქვენ მიერ სარჩელის ცნობის შემთხვევებისა) დაგეკისრებათ თქვენ მიერ დაზღვეული ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად მესამე მხარისათვის მიყენებული ზარალისთვის, კერძოდ - მესამე მხარის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი და/ან მესამე მხარის ქონებისთვის მიყენებული ზიანი;

3.2. ანაზღაურდება აგრეთვე დაზღვეული ავტომობილის მართვის/გამოყენების შედეგად წარმოშობილი სხვა პირების პასუხისმგებლობა, კერძოდ იგულისხმება:

3.2.1. ნებისმიერი უფლებამოსილი მძღოლი, რომელიც მართავს დაზღვეულ ავტომობილს თქვენი ნებართვით;

3.2.2. დაზღვეული ავტომობილის მგზავრი უშუალოდ მგზავრობის ან ავტომობილში ჩაჯდომა-გადმოსვლის დროს;

3.2.3. თქვენი თანამშრომელი ან საქმიანი პარტნიორი, თუკი დაზღვეული ავტომობილი გამოიყენება კომერციული დანიშნულებით და ეს აღნიშნულია როგორც განაცხადში, ასევე პოლისში;

3.3. მესამე მხარის დაღუპვის შემთხვევაში, ამ პარაგრაფით გათვალისწინებული დაზღვევა გავრცელდება დაღუპული პირის სამართალმემკვიდრეზე;

3.4. **ჩვენ ავანაზღაურებთ** (პასუხისმგებლობის ლიმიტის ფარგლებში):

3.4.1. თანხას, რომლის გადახდაც დაზღვეულ პირს დაეკისრება სასამართლოს მიერ (გარდა სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ან სარჩელის ცნობის შემთხვევებისა) დაზღვეული ავტომობილით მესამე მხარისთვის მიყენებული ზარალისთვის, ან/და

3.4.2. თანხას, რომლის გადახდაზეც მოვილაპარაკებთ დაზღვეულ პირსა და დაზარალებულ მესამე მხარეს შორის სასამართლოს გარეშე (იხილეთ პუნქტი 3.6.);

3.4.3. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ იურიდიულ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია ზარალის დარეგულირებასთან;

3.5. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის გაღება (იურიდიული თუ სხვა) ან მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის აღიარება უნდა მოხდეს მხოლოდ ჩვენთან წერილობითი შეთანხმებით, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებთ არ ავანაზღაუროთ შესაბამისი ზარალი;

3.6. **თუ თანხა ანაზღაურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, თანხა გამოითვლება შემდეგნაირად:**

3.6.1. მესამე მხარის ქონების დაზიანებისას, პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება:

✓ თუ მესამე მხარის ქონება მთლიანად განადგურდა – ქონების საბაზრო ღირებულებას გამოაკლდება ნარჩენების ღირებულება;

✓ თუ მესამე მხარის ქონება არ არის სრულად განადგურებული, ანაზღაურდება სარემონტო ხარჯები, რაც საჭიროა დაზიანებული ქონების ზარალამდე არსებულ კონდიციამდე მისაყვანად;

3.6.2. მესამე მხარის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის მიყენებული ზიანისას, პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება:

✓ დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, რომელსაც დაზარალებული პირი ვერ მიიღებს შრომისუნარიანობის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვის გამო, მაგრამ არა უმეტეს 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა;

✓ დაზარალებული პირის სამკურნალოდ საჭირო თანხები;

✓ დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, მაგრამ არა უმეტეს 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა. ამ პუნქტში აღნიშნული რისკის დადგომის შემთხვევაში, ზარალი აუნაზღაურდება მხოლოდ დაზარალებული პირის მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

3.7. ერთი შემთხვევისაგან გამოწვეული დანაკარგი განხილულ იქნება როგორც ერთი სადაზღვევო შემთხვევა. ამ დაზღვევით არავის აქვს უფლება, ორჯერ ან მეტჯერ მიიღოს ანაზღაურება ერთი და იმავე ზიანისათვის;

3.8. იმ შემთხვევაში, თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალდება რამდენიმე მესამე პირი, ხოლო დაზღვეულზე დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობა გადაჭარბებს პოლისში მითითებულ ანაზღაურების ლიმიტს, ანაზღაურებას თითოეული მხარე მიიღებს პროპორიულად (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში);

3.9. **ავტომფლობელის მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევის გამონაკლისები:**

3.9.1. მე-3 პარაგრაფში აღნიშნული პასუხისმგებლობა დაფარულია ნებისმიერი სხვა დაზღვევით;

3.9.2. ზარალი მიადგა დაზღვეული ავტომობილის მძღოლისა და/ან მგზავრების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

3.9.3. ზარალი, მიყენებული "დამზღვევის" ქონებისთვის;

3.9.4. თუ ზარალი მიადგა მესამე მხარის ქონებას, როდესაც ხდებოდა ამ ქონების ტრანსპორტირება დაზღვეული ავტომობილით;

3.9.5. ნებისმიერი სახის მორალური ზიანი;

3.9.6. მესამე მხარის ქონება იმყოფებოდა „დამზღვევის/მოსარგებლის" მეთვალყურეობის ქვეშ (ამ უკანასკნელს ჰქონდა მიბარებული).

4. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევა

4.1. მე-4 პარაგრაფის მიხედვით დაზღვეულად მიიჩნევა დაზღვეული ავტომობილის ნებისმიერი მგზავრი, მძღოლის ჩათვლით. პოლისში მითითებული ანაზღაურების ჯამური ლიმიტის და ერთ პირზე ქველიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება ხარჯები, დაკავშირებული მგზავრების ან/და მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესებასთან ან/და გარდაცვალებასთან, რაც გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილით მგზავრობისას ავტოსაგზაო შემთხვევით და გამოვლინდება სადაზღვევო შემთხვევიდან არა უგვიანეს ერთი თვის განმავლობაში.

4.2. პუნქტი 4.1-ით დაფარული რისკებიდან, ცხრილში მოცემულ შემთხვევებში გამოყენებული იქნება ქველიმიტები:

უბედური შემთხვევა	ფიქსირებული ლიმიტი / სადაზღვევო ლიმიტის %
	500 აშშ დოლარი ერთ პირზე
ამბულატორიული მკურნალობა	70%
ერთი ხელის პარალიზება ან ამპუტაცია მხრის სახსრის ზედა მესამედში	65%
ერთი ხელის პარალიზება ან ამპუტაცია მხრის სახსრის ქვედა მესამედში	60%
ერთი ხელის პარალიზება ან ამპუტაცია იდაყვის სახსარს ქვემოთ	55%
ერთი ხელის მტევნის პარალიზება ან ამპუტაცია	20%
ერთი ცერა თითის პარალიზება ან ამპუტაცია	10%
ერთი საჩვენებელი თითის პარალიზება ან ამპუტაცია	5%
ერთი ხელის ნებისმიერი სხვა თითის პარალიზება ან ამპუტაცია	70%
ერთი ფეხის პარალიზება ან ამპუტაცია ბარძაყის ზედა მესამედში	60%
ერთი ფეხის პარალიზება ან ამპუტაცია ბარძაყის ქვედა მესამედში	50%
ერთი ფეხის მუხლსქვედა პარალიზება ან ამპუტაცია	45%
ერთი ფეხის პარალიზება ან ამპუტაცია წვივის შუა მიდამოში	40%
ერთი ფეხის ტერფის პარალიზება ან ამპუტაცია	5%
ერთი ფეხის დიდი თითის პარალიზება ან ამპუტაცია	2%
ერთ ფეხის ნებისმიერი სხვა თითის პარალიზება ან ამპუტაცია	50%
მხედველობის ცალმხრივი სრული დაკარგვა	30%
სმენის ცალმხრივი სრული დაკარგვა	10%
ყნოსვის შეგრძნების დაკარგვა	5%
გემოს შეგრძნების დაკარგვა	100%
გარდაცვალება / სრული შრომისუუნარობა	

4.3. ჰოსპიტალური მკურნალობის დროს საწოლ დღეთა ლიმიტი შეადგენს 360 დღეს, ხოლო მაქსიმალური თანხა თითო საწოლ დღეზე არის 80 აშშ დოლარი (მკურნალობის ხარჯების გარდა), მაგრამ არა უმეტეს პოლისში მითითებული ლიმიტისა;

4.4. 4.2. ცხრილში მითითებული გრძნობათა ორგანოებისა და კიდურების ერთდროულად დაზიანების შემთხვევაში ანაზღაურება განისაზღვრება შესაბამისი განაკვეთების ჯამით. იმ შემთხვევაში, თუ განაკვეთების ჯამი აღემატება 100%-ს, სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება სრული ანაზღაურების ლიმიტით;

4.5. თუ ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაშავდება/გარდაიცვლება ერთზე მეტი პირი, ხოლო ჯამური ზარალი გადააჭარბებს პოლისის ანაზღაურების ლიმიტს, ანაზღაურებას პროპორციულად მიიღებს თითოეული მხარე (მისი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში);

4.6. **სადაზღვევო შემთხვევისას:**

4.6.1. ჩვენ შესაძლოა მოვითხოვოთ დამატებითი გამოკვლევების ჩატარება ჩვენ მიერ დანიშნულ ექიმთან. ამგვარი გამოკვლევები ჩატარდება ჩვენი ხარჯებით;

4.6.2. საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოვითხოვოთ სამედიცინო ინფორმაცია იმ ექიმებისგან, რომლებსაც დაშავებულისათვის სხვადასხვა დროს ჩაუტარებიათ სამედიცინო გამოკვლევა ან მკურნალობა, მიუხედავად ჩვილის მიზეზისა. დაშავებული ვალდებულია, ნება დართოს ექიმს, გადმოგვცეს ჩვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება გვაქვს არ ავუნაზღაუროთ დაშავებულს ზარალი;

4.6.3. ანაზღაურების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იყოს ოფიციალური სამედიცინო დოკუმენტები. დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში შესაძლოა, დავნიშნოთ ექიმი/ექსპერტი სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად.

5. საერთო პირობები

თქვენ ვალდებული ხართ სადაზღვევო შემთხვევისას დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდეთ 24 საათიან ცხელ ხაზზე +995 322 505 111

5.1. ჩვენი სერვის მენეჯერი მაშინვე ჩაერთვება დარეგულირების პროცესში და გაგიწევთ შესაბამის დახმარებასა და კონსულტაციას. თუ საჭიროა, სერვის მენეჯერი გამოიძახებს ევაკუატორს თქვენი ავტომობილის უსაფრთხო ადგილას გადასაყვანად (საქართველოს ტერიტორიაზე, სატრანსპორტო საშუალებებისათვის, რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3.5 ტონას);

5.2. ჩვენი სერვის მენეჯერის მოსვლამდე დაუშვებელია სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის გადაადგილება, (გარდა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის მოთხოვნისა, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება გვაქვს უარი ვთქვათ სადაზღვევო ანაზღაურებაზე);

5.3. სადაზღვევო შემთხვევისას **აუცილებლად გამოიძახეთ საპატრულო პოლიცია** და წარმოადგინეთ შემთხვევის ამსახველი ყველა დოკუმენტი. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ არ განვიხილავთ პრეტენზიებს ზარალის ანაზღაურებაზე, თუ შემთხვევის შესახებ

დაგვიანებით გვაცნობებთ. ამასთან ერთად ვალდებული ხართ წარმოადგინოთ ოფიციალური დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს შემთხვევის მომენტისათვის დაზღვეული ავტომობილის მძღოლის სიფხიზლის ფაქტს და ვინაობას;

5.4. **საერთო გამონაკლისები.** ეს დაზღვევა არ ანაზღაურებს შემთხვევას, დაზიანებას ან ზარალს, გამოწვეულს შემდეგი გარემოებებით:

5.4.1. დაზღვეული ავტომობილი არ გამოიყენება იმ დანიშნულებით, რომელიც მითითებულია პოლისში;

5.4.2. დაზღვეული ავტომობილი გადატვირთულია, მგზავრთა რაოდენობა აღემატება დასაშვებს ან გამოიყენება შეუსაბამო საგზაო პირობებში (ავტომობილის გამოყენება ადგილებში, რომლებიც არაა განკუთვნილი ავტომობილების მოძრაობისათვის);

5.4.3. დაზღვეული ავტომობილი იმყოფება აეროდრომის ან აეროპორტის ტერიტორიაზე, გარდა სპეციალურ ავტოსადგომებზე მომხდარი შემთხვევებისა;

5.4.4. დაზღვეული ავტომობილის მძღოლი აჭარბებს საგზაო მოძრაობის წესებით დადგენილ სიჩქარის ლიმიტს;

5.4.5. დაზღვეული ავტომობილის მძღოლი საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით გადაადგილდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე პირის სიცოცხლის და/ან ქონების გადარჩენის აუცილებლობით;

5.4.6. ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის საპროექტო ან კონსტრუქციული დეფექტებით;

5.4.7. ზარალი გამოწვეულია ავტომობილის დეტალების / მოწყობილობების გაუმართაობით;

5.4.8. დაზღვეული ავტომობილის მძღოლი ავტომობილის მართვისას იმყოფება ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ (მიუხედავად იმისა, სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეული ავტომობილის მძღოლის ბრალეულობით მოხდა თუ მესამე მხარის მიზეზით);

5.4.9. ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის მძღოლის მიერ თვითმკვლელობით ან თვითმკვლელობის მცდელობით;

5.4.10. რბოლებში მონაწილეობა, დაზიანება ავტომობილის ნებისმიერი სახით გამოცდისას (Test Drive, Off Road);

5.4.11. დაზღვეულ ავტომობილს მართავს არაუფლებამოსილი მძღოლი, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც დაზღვეული ავტომობილი გაიტაცეს ან მოიპარეს;

5.4.12. სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის არ არის გადახდილი პოლისში მითითებული სადაზღვევო პრემია სრულად ან მისი ნაწილი (პრემიის განვადებით გადახდისას პოლისში მითითებული გრაფიკით გათვალისწინებული შენატანი);

5.4.13. აღნიშნული ავტომობილი იძებნება და/ან ავტომობილის მახასიათებლები არ ემთხვევა მისი VIN კოდის (ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი) შესაბამის მახასიათებლებს, რომელსაც მოვიპოვებთ სატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის ან სხვა კომპეტენტური წყაროს მეშვეობით;

5.4.14. ნებისმიერი ქმედებით, რომლის შედეგადაც უფლება გვაქვს უარი ვთქვათ ზარალის ანაზღაურებაზე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე;

5.4.15. ზარალი გამოწვეულია იონიზებული რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით; ატომური/ბირთვული ნივთიერებით; რადიოქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნივთიერების ტრანსპორტირებით;

5.4.16. ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი); შემოჭრით, საომარი მოქმედებით;

5.4.17. სამოქალაქო მღელვარებით;

5.4.18. სამხედრო ხელისუფლების მიერ (მიუხედავად იმისა, რომ ხორციელდება კანონიერად არჩეული მთავრობის მიერ); უზურპირებული ხელისუფლების მიერ (როდესაც ძალაუფლებას უკანონოდ ხელში იღებს პირი ან პირთა ჯგუფი);

5.4.19. ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით;

5.4.20. თქვენ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი პასუხისმგებლობა მაინც იგულისხმებოდა უხელშეკრულებოდ;

5.5. **ზარალის თავიდან აცილების მოვალეობა**

5.5.1. თქვენ ვალდებული ხართ, მიიღოთ ყველა საჭირო და აუცილებელი ზომა, რათა თავიდან აიცილოთ დაზღვეული ავტომობილის დაზიანება;

5.5.2. მიიღეთ, გონივრულობის ფარგლებში, ყველა საჭირო ზომა მოპარული ავტომობილის დასაბრუნებლად და ზარალის შესამცირებლად;

5.5.3. დაზღვეული ავტომობილი უნდა იმყოფებოდეს გამართულ მდგომარეობაში. ჩვენ გვაქვს უფლება მოვახდინოთ დაზღვეული ავტომობილის ინსპექტირება ნებისმიერ დროს, თქვენთვის აღნიშნულის თაობაზე სამი დღით ადრე წინასწარი შეტყობინების საფუძველზე;

5.6. **რისკის ცვლილება.** თქვენ ვალდებული ხართ, დაუყოვნებლივ, წერილობით შეგვატყობინოთ დაზღვეული ავტომობილის სხვა პირის მფლობელობაში გადაცემის, ავტომობილის გამოყენების და განაცხადში მითითებული სხვა პარამეტრების შეცვლის შესახებ;

5.7. **სადაზღვევო თანხა და სადაზღვევო ანაზღაურება**

5.7.1. ყოველი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შესაბამისი ზარალი ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისში აღნიშნული ფრანშიზის გამოკლებით. იმ შემთხვევაში თუ ზარალი ანაზღაურდება ავტომობილის ჩანაცვლების გზით, ვალდებული ხართ აგვინაზღაუროთ ფრანშიზის ოდენობა თქვენთვის აღნიშნული ავტომობილის გადმოცემამდე;

5.7.2. თუ სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება განვადებით და სადაზღვევო შემთხვევა მოხდა პრემიის სრულ გადახდამდე და ზარალის ოდენობა აღემატება სადაზღვევო თანხის 40%-ს, სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოიქვითება გადაუხდელი

პრემიის ოდენობა. იმ შემთხვევაში თუ ზარალი ანაზღაურდება ავტომობილის ჩანაცვლების გზით, ვალდებული ხართ აგვინაზღაუროთ გადაუხდელი პრემიის ოდენობა თქვენთვის აღნიშნული ავტომობილის გადმოცემამდე;

5.7.3. სადაზღვევო შემთხვევის შემდგომ, სადაზღვევო თანხა შემცირდება მანამდე ანაზღაურებული თანხების და ფრანშიზის ოდენობით. თუ გსურთ, აღადგინოთ სადაზღვევო თანხა, დამატებითი პრემიის გადახდის საფუძველზე ჩვენი მომსახურების მენეჯერი შეიტანს შესაბამის ცვლილებას თქვენს პოლისში;

5.7.4. წერილობითი პრეტენზია ზარალის შესახებ უნდა მოგვაწოდოთ სადაზღვევო შემთხვევიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებთ არ ავანაზღაუროთ ზარალი;

5.8. **თქვენი მოვალეობანი.** იმისთვის, რომ თავიდან აიცილოთ რაიმე სახის პრობლემა (ზარალის ანაზღაურებაზე უარის თქმის ჩათვლით) ან დაგვიანება თანხის ანაზღაურების პროცესში, აუცილებლად უნდა შეასრულოთ რამდენიმე პირობა, კერძოდ:

5.8.1. დაუყოვნებლივ შეატყობინოთ საპატრულო პოლიციას სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

5.8.2. დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდეთ ჩვენს ცხელ ხაზზე (**+995 322 505 111**) და მოგვაწოდოთ სრული ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

5.8.3. დაგვიკავშირდეთ, თუ ამ ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე პირის წინააღმდეგ ტარდება იურიდიული ზომები სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე;

5.8.4. არასდროს აიღოთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა თქვენს თავზე ჩვენთან წერილობითი შეთანხმების გარეშე;

5.8.5. იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ მიერ ანაზღაურდება (ფრანშიზის გამოკლებით) დაზიანებული დეტალების შეცვლა, თქვენ ვალდებული ხართ გადმოგვცეთ დაზიანებული ნაწილების განკარგვის უფლება;

5.8.6. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დაზიანებული ავტომობილის აღდგენა და ჩვენ ავანაზღაურებთ ზარალს სრულად (ფრანშიზის გამოკლებით), თქვენ ვალდებული ხართ გადმოგვცეთ დაზიანებული ავტომობილის განკარგვის უფლება;

5.8.7. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ სადაზღვევო პერიოდის მანძილზე აგინაზღაურეთ ზარალი, გაუქმების შემთხვევაში (თქვენი სურვილით) ვალდებული ხართ გადაიხადოთ სრული სადაზღვევო პრემია;

5.8.8. არ დაიწყოთ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის შეკეთება ჩვენთან შეთანხმების გარეშე;

5.8.9. ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე მოგვაწოდოთ ზარალის დარეგულირებისათვის აუცილებელი ცნობები/დოკუმენტები ოფიციალური ან სახელმწიფო ორგანოებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ უფლებამოსილი ვართ, უარი განვაცხადოთ ვალდებულებების შესრულებაზე აღნიშნული საპასუხო მოქმედებების შესრულებამდე;

5.8.10. თქვენ მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, გადაიხადოთ პირგასამტეხლო დავალიანებული პრემიის 0.20%-ს ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის; პირგასამტეხლოს დარიცხვა/ათვლა დაიწყება წერილობით შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. ამასთანავე პირგასამტეხლო გადაიხდება დამატებით, სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების მიუხედავად, რომლის გადახდაც არ გათავისუფლებთ ნაკისრი ძირითადი ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან;

5.8.11. გააცნოთ უფლებამოსილ მძღოლებს წინამდებარე დაზღვევის პირობები;

5.8.12. წარმოგვიდგინოთ ავტომობილში დამონტაჟებული არა-ქარხნული დეტალების/მოწყობილობების ჩამონათვალი, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება გვაქვს უარი ვთქვათ ავანაზღაუროთ ზარალი, გამოწვეული აღნიშნული არა-ქარხნული დეტალების/მოწყობილობების/აქსესუარების დაზიანებით/ქურდობით;

5.9. **ჩვენი მოვალეობანი.**

5.9.1. აგინაზღაუროთ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზარალი წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად;

5.9.2. თქვენი სახელით წარვმართოთ და გავაკონტროლოთ ზარალის დარეგულირების პროცესი;

5.9.3. საჭიროების შემთხვევაში, თქვენთან შეთანხმებით გავაკონტროლოთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი იურიდიული პროცესი;

5.9.4. გავცეთ სადაზღვევო ანაზღაურება ჩვენ მიერ ზარალის დარეგულირებასთან დაკავშირებული დოკუმენტების მიღებიდან და ზარალის ოდენობაზე შეთანხმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

5.9.5. ჩვენ მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, გადაგიხადოთ პირგასამტეხლო დავალიანებული თანხის 0.20%-ს ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის; პირგასამტეხლოს დარიცხვა/ათვლა დაიწყება წერილობით შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. ამასთანავე პირგასამტეხლო გადაიხდება დამატებით, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულების მიუხედავად, რომლის გადახდაც არ გვათავისუფლებს ნაკისრი ძირითადი ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან;

5.10. **გაყალბება.** თუ თქვენ ან მოსარგებლე რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება, რომ გააყალბოს სადაზღვევო შემთხვევა (ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი), ჩვენ უფლება გვაქვს არ ავანაზღაუროთ შესაბამისი ზარალი. ეს პირობა ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზეც, როდესაც თქვენ შეგნებულად ზრდით ზარალის თანხას ან გვაწვდით ყალბ ინფორმაციას;

5.11. **ორმაგი დაზღვევა.** თუკი წინამდებარე ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეულია აგრეთვე სხვა სადაზღვევო პოლისით, ჩვენ გადავიხდით ზარალს პროპორციულად, ჩვენი სადაზღვევო თანხის ჯამურ (ყველა პოლისის) სადაზღვევო თანხასთან შეფარდების პროპორციულად;

5.12. **პრემიის გადახდა:**

5.12.1. თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ სადაზღვევო პრემია პოლისში მითითებული წესითა და ოდენობით;

5.12.2. თუ პრემიის გადახდის ვადას გადააცილებთ 14 (თოთხმეტი) დღით, ჩვენ უფლება გვაქვს შევაჩეროთ სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედება დამზღვევისთვის/დაზღვეულისათვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე და არ ავანაზღაუროთ მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები. ხოლო 30 (ოცდაათი) დღის შემდეგ უფლება გვაქვს გავაუქმოთ დაზღვევის ხელშეკრულება ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე. სადაზღვევო ხელშეკრულების გაუქმებამდე დავალიანების გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება მისი მოქმედების ვადით, თუმცა დავალიანების პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები ანაზღაურებას არ დაექვემდებარება;

5.12.3. ჩვენ ვთავისუფლდებით ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, ვიდრე არ არის გადახდილი სადაზღვევო პრემიის პირველი შენატანი. ჩვენი პასუხისმგებლობა აგრეთვე ჩერდება მომდევნო შენატანების დაგვიანების პერიოდშიც;

5.13. **რეგრესი.**

5.13.1. თქვენ ან მოსარგებლე ვალდებულნი ხართ გადმოგვცეთ ყველა ის საბუთი, მტკიცებულება და ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ზარალზე პასუხისმგებელი მესამე მხარის მიმართ გადმოსული რეგრესული მოთხოვნის უფლების გამოყენებისათვის;

5.13.2. თუ თქვენ ან მოსარგებლემ უარი განაცხადეთ ჩვენთვის რეგრესული მოთხოვნის უფლების გადმოცემაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ, იმ ზარალზე რომელიც ავანაზღაურეთ ჩვენ ან ასეთი უფლების შესრულება შეუძლებელი გახდა თქვენი ან მოსარგებლის ქმედებით, მაშინ ჩვენ ვთავისუფლდებით სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან და უფლება გვეძლევა მოვითხოვოთ გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების უკან დაბრუნება.

5.14. **ხელშეკრულების პირობების შესრულების ვალდებულება.** ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში ავანაზღაურებთ ზარალს, თუ თქვენ და მოსარგებლე იცავთ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ან/და მოსარგებლე არღვევთ ამ ხელშეკრულების პირობებს, არ ასრულებთ ამ პირობებით განსაზღვრულ ვალდებულებებს ან გვაწვდით დაზღვევასთან დაკავშირებულ არასწორ ინფორმაციას, ჩვენ უფლება გვაქვს გადავცეთ ინფორმაცია თქვენ შესახებ საერთო საინფორმაციო ბაზაში, რომელზედაც ხელი მიუწვდებათ სხვა სადაზღვევო კომპანიებსაც;

5.15. **დაზღვევის გაუქმება**

5.15.1. თუ თქვენ გსურთ გააუქმოთ სადაზღვევო ხელშეკრულება, უნდა გამოგვიგზავნოთ წერილობითი შეტყობინება გაუქმების თაობაზე 14 (თოთხმეტი) დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში დაგიბრუნდებათ გადახდილი პრემიის გამოუმუშავებელი ნაწილი დარჩენილი პერიოდის პროპორციულად, 1 (ერთი) თვის შესაბამისი გამოუმუშავებელი პრემიის გამოკლებით (გარდა შემთხვევებისა, როდესაც ჩვენ ვარღვევთ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს). იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში თქვენ აგინაზღაურდათ ზარალი, გაუქმებისას სადაზღვევო პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება;

5.15.2. ჩვენ უფლება გვაქვს გავაუქმოთ სადაზღვევო ხელშეკრულება, რის შესახებაც გამოგიგზავნით წერილობით შეტყობინებას გაუქმებამდე 14 (თოთხმეტი) დღით ადრე, ხოლო გადახდილი პრემია დაგიბრუნდებათ დარჩენილი პერიოდის პროპორციულად (გამოუმუშავებელი პრემია);

5.16. წინამდებარე პირობებზე ხელმოწერით "დამზღვევი" ადასტურებს, რომ "მზღვეველი" უფლებამოსილია "დამზღვევისა" და სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული უფლებამოსილი მძღოლების მხრიდან დამატებითი თანხმობისა და უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, მიმართოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს და მიიღოს "დამზღვევსა" და/ან წინამდებარე პოლისით გათვალისწინებულ ნებისმიერ უფლებამოსილ მძღოლზე (რომელთაგან იდენტური თანხმობა/ავტორიზაცია მიღებული აქვს, თავის მხრივ, "დამზღვევს") არსებული ინფორმაცია საგზაო მოძრაობის და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევათა შესახებ;

5.17. **დავების გადაწყვეტა.** სადაზღვევო ხელშეკრულების გარშემო წარმოშობილი დავა წყდება მხარეთა ურთერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.18. **დამატებითი მომსახურება:** თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ გზებზე უფასო ავტო-ასისტანსით არასადაზღვევო შემთხვევის დროსაც. ავტოასისტანსი მოქმედებს მთელი თბილისის ტერიტორიაზე 24 საათის განმავლობაში. დამატებითი სერვისში შედის:

- ✓ ადგილზე საწვავის მიტანა;
- ✓ ძირითადი საბურავის სათადარიგოთი ჩანაცვლება, გაბერვა, შეკეთება;
- ✓ ავტომობილის დაქოქვა ელექტრობელსაწყოს საშუალებით;
- ✓ ავტომობილის ევაკუაცია (იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილის გადაადგილება ვერ ხერხდება).

ავტოასისტანსის გამოსაძახებლად უნდა დაგვირეკოთ ცხელ ხაზზე ☎2 505 111 და შეგვატყობინოთ შემთხვევის შესახებ.